პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყიდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 17 (11628)
ხუთშაბათი
21
იანვარი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ქვეყნდება პირველად. ვ. ი. ლენინი ჭითელ მოედანზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის დღესასწაულის დროს. მოსკოვი, 1919 წლის 7 ნოემბერი.

25 იანვარს გაიხსნება საქართველოს კომპარტიის XX ყრილობა

„ოლიმპიადა“ ეს დიადსანიშნავ თარიღს.

ჩვენი დიდი სამშობლოს კიდით კიდემდე გაისმის ამ ზამთრის დღეებში საბჭოთა ხალხის მძლავრი ხმა, რომელიც მტკიცედ მოითხოვს სრულ განიარაღებასა და მშვიდობიან თანაარსებობას ყველა ქვეყანასთან.

როგორც მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში, ისე საქართველოშიც ახლა ეწყობა მიტინგები და კრებები, რომლებზეც მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გაბედულ, ბრძნულ გადაწყვეტილებებს. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, საქართველოს ყველა მშრომელი მტკიცედ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებას სრული განიარაღების შესახებ. ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ სხვა ქვეყნები მიბაძავენ საბჭოთა კავშირის დიად მაგალითს და გამალებული შეიარაღების შეწყვეტით განთავისუფლებული უზარმაზარი სახსრები მოსმარდება ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებას.

საქართველოს მშრომელებისათვის ეს დღეები მით უფრო სასიხარულოა, რომ ისინი დიდი აქტივობით ემზადებიან საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, მშრომელები ისწრაფვიან რესპუბლიკის ცხოვრებაში ეს დიდი მოვლენა აღნიშნონ ახალი შრომითი წარმატებებით.

რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში ხისხლსავსე შემოქმედებითი შრომა ჩქეფს შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქართველოს მშრომელთა მზარდი შემოქმედებითი აქტივობა შესანიშნავ ნაყოფს იძლევა. ბევრმა საწარმომ დიდი გადაჭარბებით შეასრულა იანვრის პირველი ნახევრის დავალება და წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ თვის დავალება ყრილობის გახსნის დღისათვის გაანაღდოს.

ამ დღეებში მაღალნაყოფიერად შრომობენ ჭიათურის მაღაროელები. მარგანეცის ტრესტმა გადაჭარბებით შეასრულა იანვრის პირველი ნახევრის დავალება და მეტალურგიულ ქარხნებს გეგმის გადამეტებით გაუგზავნა ათასობით ტონა მარგანეცი. სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 112-115 პროცენტით ასრულებს.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას ახალი გამარჯვებებით ხვდებიან რუსთავის მეტალურგები, თბილისელი ელექტრომავალმშენებლები და ქუთაისელი მეავტომობილეები. რუსთავის მეტალურგები ფართოდ გამოეხმაურნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებას დეკემბრის პლენუმზე იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მეტალურგებს. გეგმის გადამეტებით გამოდნობილი ყოველი ტონა ფოლადი დამატებითი რეზერვია სასოფლო-სამეურნეო მანქანების საწარმოებლად.

მრეწველობის მუშაკების გვერდით ახალ შრომითს ხაჩუქრებს უმზადებენ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მშრომელები. დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აფრთოვანებული საკოლმეურნეო გლეხობა, საბჭოთა მეურნეობების მუშები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მთელი რაიონების მასშტაბით მიმდინარეობს ღონისძიებათა შემუშავება, რათა გამოავლინონ ახალი რეზერვები და გამოიყენონ ისინი ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

საქართველოს მთელი რიგი კოლმეურნეობები და სოფლის რაიონები სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმებიან საბჭოთა ქვეყნის ყველაზე მოწინავე ოლქების კოლმეურნეობებთან და რაიონებთან და კისრულობენ ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ორჯერ გაადიდონ 1959 წელთან შედარებით.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობა ამ დღეებში შეუდგება მუშაობას. დარჩენილ მცირე დროშიც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. ვამრავლოთ წარმატებანი, ძვირფასი შრომითი საჩუქრები ვუძღვნათ ყრილობას!

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობა

სანაქებოა

ჭუთაისი. (საკ. კორ.). შასის საამქროში საქმე კარგად ვერ მიდიოდა. უკანა ხიდის უბანი უკან ეწეოდა საამქროს, მთელ ქარხანას. წინა ხიდის უბნის უფროსმა ო. ფულარიანმა, რომელიც ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში პირველი გამოეხმაურა ვალენტინა გაგანოვას პატრიოტულ თაოსნობას, ჩამორჩენილი კოლექტივისათვის დახმარების გაწევა იკისრა... გასული წლის აგვისტოდან ეს უბანი ყოველთვიურ დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებს. წარმოების დიდმნიშვნელოვანი უბნის წინ წამოწევამ საამქრო წელში გამართა.

ეს და ბევრი სხვა საგულისხმო მაგალითი მოიყვანეს ქუთაისელ გაგანოველთა საქალაქო შეკრებაზე, რომელიც ამ დღეებში ახლად გახსნილ ტექნიკის სახლში გაიმართა.

ტრიბუნაზეა აბრეშუმკობინატის № 1 საქსოი საწარმოს მეათე ბრიგადის ხელმძღვანელი ო. კახაია. მაღალი კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა ამ ფიქარს, როცა მან მოწინავე მეთორმეტე ბრიგადიდან, სადაც ცხრა წელიწადს მუშაობდა, ჩამორჩენილ ბრიგადას მიაშურა.

— საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, — განუცხადა მან შეკრების მონაწილეებს, — რომ არ არსებობს ცუდი ბრიგადა, ცუდი დაზგები. არიან ადამიანები, რომლებსაც არ ჰყოფნით კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომლებიც ცუდად იყენებენ დაზგებს. თუ ამ ადამიანებს დაეხმარები, შეთანაგონებ და დარაზმავ, სწრაფად გამოიყვან კოლექტივს მოწინავეთა რიგებში. ჩვენი მთავარი საზრუნავი ახლა ის არის, რომ სულ მცირე 125 პროცენტით ვასრულებდეთ ყოველდღიურ დავალებას. გადაწყვეტილი გვაქვს საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის იანვრის გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივცეთ 1.400 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

შეკრების მონაწილეებს მოპოვებული გამარჯვებები გააცნეს და მომავლის გეგმები გაუზიარეს გაგანოველებმა — ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ძრავას საამქროს ბლოკების უბნის უფროსმა გ. ჯიშკარიანმა, მინის ტარის ქარხნის ოპერატორმა თ. დადუნაშვილმა, მაუდის ფაბრიკის საქსოვი საამქროს ცვლის ოსტატმა კ. გოჩელაშვილმა, აბრეშუმკომბინატის № 2 საქსოვი საამქროს მესამე ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. ოქრუაშვილმა.

გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XXIII ყრილობა

20 იანვარს მუშაობა დაიწყო საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXIII ყრილობამ. საუკეთესოთაგან საუკეთესონი, თავიანთი ყველაზე აქტიური წევრები — ისინი, ვინც სხვებისათვის მაგალითია შრომასა და სწავლაში, საზოგადოებრივსასარგებლო მუშაობაში, აირჩიეს რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყრილობის დელეგატებად. მათ შორის არიან სამრეწველო საწარმოთა ნოვატორები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოწინავეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბუალო და უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები, საბჭოთა არმიის მეომრები, პიონერული და კომკავშრომული მუშაობის აქტივისტები.

ყრილობის გახსნამდე კარგა ხნით ადრე საქართველოს კომკავშირელთა სამასათასიანი არმიის 650-ზე მეტი წარმოგზავნილი, რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსული, შეიკრიბა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. აქ არიან აგრეთვე მრავალრიცხოვანი სტუმრები — პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკები. საქართველოს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა წარჩინებული ადამიანები, ძველი ბოლშევიკები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები.

პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ ამხანაგები ვ. პ. მეჟვანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუპავა, კ. ნ. გალიცკი, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოშიძე, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. რუშეტოვი.

ყრილობას ხსნის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე. ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

უდიდესი აღმავლობით, ხანგრძლივი ტაშის გრიალში, ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

მხურვალედ ეგებებიან დელეგატები და სტუმრები ცნობას, რომ ყრილობას ესწრებიან ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ახალგაზრდობის წარმომადგენლები — აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირების დელეგაციები.

დამტკიცდა შემდეგი დღის წესრიგი: 1. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში. 3. არჩევნები: ა) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა; ბ) სარევიზიო კომისიისა.

ყრილობა იწყებს დღის წესრიგის პირველი პუნქტით — რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის განხილვას. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. შევარდნაძეს.

— დღეს, — ამბობს იგი, — საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია, მთელი ახალგაზრდობა მოახსენებს ხალხსა და პარტიას იმ მუშაობის შესახებ, რომელიც მან გასწია ორი წლის განმავლობაში, წარმატებათა და ნაკლოვანებათა შესახებ, ნაკისრ ვალდებულებათა და ახალ ამოცანათა შესახებ, რომელთა გადაჭრისათვის იბრძვიან ჩვენი შრომისმოყვარე ქალიშვილები და ბიჭები. თავის მორიგ ყრილობაზე საქართველოს კომკავშირი მოვიდა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შეკავშირებული შმობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ალსავსე მტკიცე გადაწყვეტილებით განახორციელოს სკკპ XXI ყრილობის დიდებული წინასწარდასახულებანი.

ჩვენი ახალგაზრდობა ამაყობს იმის შეგნებით, რომ იგი აშენებს კომუნიზმს. იგი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლებისათვის ფიქრობს და ზრუნავს კომუნისტების დიადი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

საქართველოს კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, სამრეწველო საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციები ახლა უკეთ წვდებიან ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობათა საქმიანობას, უკეთ რაზმავენ ახალგაზრდობას ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად.

ახორციელებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ახალგაზრდობამ აქტიურად გააჩაღა ბრძოლა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. მთელ რიგ საწარმოებში ახალგაზრდობის ინიციატივით შეიქმნა ახალი ტექნიკის დანერგვის კომკავშირული შტაბები, დამზმარე კომპლექსური ბრიგადები და საკონტროლო პოსტები. მაგრამ ბევრი ორგანიზაცია, კომკავშირელი აქტივისტები განზე უდგანან ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში მონაწილეობას,

ხელმძღვანელობდა რა პარტიის მითითებით, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა გამოაცხადა კომკავშირული ლაშქრობა ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. ამ სამეში ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციებს პირველი წარმატებები აქვთ. ბევრ ადგილს შექმნილია ტექნიკური ცოდნის უნივერსიტეტები, მოწინავე გამოცდილების სკოლები.

ტექნიკური პროგრესისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძვლების დაუფლებისათვის და წარმოებაში მათი შეკავშირებისათვის ბრძოლასთან განუყოფლად დაკავშირებულია კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობა, რომლებმაც მიზნად დასახეს იცხოვრონ, იშრომონ და ისწავლონ კომუნისტურად. ამ სახატო წოდებისათვის იბრძვის 1400-ზე მეტი კოლექტივი. მთელ რესპუბლიკაში ცნობილია კომუნისტური შრომის ბრიგადების შრომთა ეკლესიები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ზ. რუსია, გ. ჩადუნელი, ა. ძამაშვილი, ო. ლორია, ა. კალანადე, ლ. ლომთათიძე, შ. კუბლაშვილი და სხვები. ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა საქართველოში ვიშნი ვოლოჩაევის სახელობის ვან მრთველს სოციალისტური შრომის ბრიგადა ვ. ვ. ბალანგოვს.

მომხსენებელი ლაპარაკობს კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე უყაირათობის, მფლანგველობის, სახალხო ქონებისადმი გულგრილი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლაში. რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ამ საქმეში შეიძინეს გარკვეული გამოცდილება. ისინი წარმატებით ეწევიან ბრძოლას კომკავშირული მილიონებისათვის, რომლის თავადაი მიზანია გაძლიერდეს ახალგაზრდობის აქტივობა მეშვირნეობისა და ყაირათიანობისათვის შეჯიბრებაში. უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა წუნისმკეთებელთა წინააღმდეგ, მასალების, საწყვის, ელექტროენერგიის გადახარჯვის წინააღმდეგ, პროდუქციის თვითღირებულების ყოველი ღონისძიებით შემცირებისათვის. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უახლოეს ორ წელიწადში ამ გზით შეიტანოთ „კომკავშირულ ყულაბაში“ 300 მილიონი მანეთი.

აქტიურად მონაწილეობს საქართველოს სოფლის ახალგაზრდობა კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის პროგრამის განხორციელებაში.

60 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგში — მეჩაიეობაში. შვიდწლედის პირველ წელს მათ მოკრიფეს 95 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო მიმდინარე წელს ისახავენ საბრძოლო ამოცანას — მიიღონ 100 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა გამოვიდა ბევრი ძვირფასი წამოწყების ინიციატორად, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი გადიდება, სოფლის მეურნეობაში არსებული რეზერვების გამოვლინება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ათასობით კომკავშირული და ახალგაზრდული ბრიგადა ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში „შვიდწლედის მოსავლისათვის“.

„შვიდწლედის მოსავლისათვის“ ბრძოლა პირველმა გააჩაღა მეჩაიეობის რაიონების ახალგაზრდობამ. არსებული დიდი რეზერვების გამოყენებისა და ამ გზით ზეგეგმიანი პროდუქციის მიღებით ინიციატორად გამოვიდა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის ახალგაზრდობა, რომელმაც დაიწყო ლაშქრობა ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. ამ ძვირფას თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მეჩაიეობის რაიონების ახალგაზრდობამ. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა ლაშქრობა ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. უახლოეს წლებში აღდგენილ იქნება 3000 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შვიდწლედის ბოლოს ავგარიშში ჩავწეროთ 10 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გაჩაღდა ბრძოლა ხეხილის ბაღებისა და ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. გორის რაიონის სოფელ მინდოსის ლენინის სახელობის, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებისა და თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ გადაწყვიტეს ხეხილის ბაღების სიმეჩხრე აღმოფხვრას 1961 წლის დამლევლისათვის, ხოლო ვენახებისა — 1962 წლის დამლევლისათვის. ბაღებისა და ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციისა შესაძლებელს გახდის გავადიდოთ ვენახების ფართობი 13 ათას ჰექტარით და ხეხილის ბაღებისა — 20 ათასი ჰექტარით.

ბევრ ძალღონეს ამჟამს ახალგაზრდობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის გაზრდისათვის. უკანასკნელ ორ წელიწადში კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში სამეშოდ გაგზავნეს 12 ათასი ახალგაზრდა მშრომელი. კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ძალებით გასულ წელს ჩაიღო 1,5 მილიონი ტონა სილოსი, ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა წითელწყაროს, ლაგოდეხის, წალენჯიხის, ლენინგორის და საჩხერის რაიონის მეცხოველეობის ფერმების ახალგაზრდობამ, რომელმაც გადაწყვიტა გამოზარდოს, გაასუქოს ბირად მეურნეობები და მიაყიდოს სახელმწიფოს ათეულ ათასობით სული ღორი. ამ პატრიოტულ თაოსნობას მალე დაუჭირეს მხარი ახალგაზრდა მეცხოველეებმა. მათ იკისრეს ვალდებულება მიმდინარე წელს საკუთარი ძალებით გაასუქონ 200 ათასი ღორი. ეს იქნება მათი წვლილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიერ ნაკისრი სამაგისო ამოცანის წარმატებით შესრულებაში — ერთიორად გაადიდონ წელს ხორცის წარმოება.

საანგარიშო მოხსენების დიდი ნაწილი მიეძღვნა სასკოლო და სტუდენტთა კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას. კომკავშირული ორგანიზაციები ახლა უფრო აქტიურად მუშაობენ მოზარდი თაობის შრომითი აღზრდის საკითხებზე. გასულ წელს რესპუბლიკის სკოლებში შეიქმნა მოსწავლეთა 5000 საწარმოო ბრიგადა, რომელთა წევრებმა გამოიმუშავეს 2 მილიონზე მეტი შრომადღე. სტუდენტ ახალგაზრდობაში მუშაობის ძირითადი ამოცანაა ყოველი დონისძიებით გაუმჯობესდეს სპეციალისტების მომზადების ხარისხი წარმოებასთან სწავლების მჭიდრო კავშირის საფუძველზე.

მომხსენებელმა აღნიშნა კომკავშირული ორგანიზაციების გარკვეული წარმატებანი ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარებაში, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს მის მასობრიობას. საკმარისია ითქვას, რომ სასპორტო სექციებში მეცადინეობს კოლმეურნეთა მხოლოდ 15 პროცენტი, ხოლო 300 კოლმეურნეობაში სრულიად არ არის ფიზკულტურელთა კოლექტივები.

მომხსენებელი შემდეგ ლაპარაკობს კომკავშირში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე. კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ახალგაზრდობის აღზრდა საბჭოთა ხალხის საეროვანი რევოლუციური ტრადიციებით, დღეგანდელი დღის ჰეროიკით. კომკავშირელთა შორის იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ისეთი ნაკლოვანებანი, როგორიც არის იდეოლოგიური მუშაობის მოწყვეტა კომუნისტური შენებლობის კონკრეტული ამოცანებისაგან, მისი ორაგვარ მასობრიობა.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეკავა ორგანიზაციული მუშაობის საკითხებმა. ამჟამად რესპუბლიკაში არის 7.674 პირველადი ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ დაახლოებით 340 ათას წევრს. ამ ბოლო დროს გაიზარდა კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, ისინი განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და პოლიტიკურად. საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის რიგები გაიზარდნენ 80 ათასზე მეტი კაცით. გადიდდა მუშათა ფენა სრულიად საკავშირო ალკკ წევრთა შორის. მოხსენების დასკვნითი ნაწილი მიეძღვნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პიროსმა და ამარაული მუშაობის ანალიზს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მხრივ ხელმძღვანელობას.

დასასრულ ამხ. შევარდნაძე ამბობს, რომ ლენინური კომკავშირის ბალაა პარტიული ხელმძღვანელობა. კომუნისტური პარტია კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მჩქეფარე ენერგიასა და შემოქმედებითს ენთუზიაზმს წარმართავს გმირული საქმეების შესასრულებლად. ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ამ წუთში, განაცხადა მან ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების ერთსულოვან ტაშის გრიალში, ჩვენ ერთხელ კიდევ ვაძლევთ პირობას შშობლიურ პარტიას, რომ საქართველოს კომკავშირი მთელ სამშობლოს ახალგაზრდობასთან ერთად ყველაფერს იქნება მისი მებრძოლი თანაშემწე კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ამხ. ნ. ცხაკაიამ.

შემდეგ ყრილობა შეუდგა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვას.

მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ: კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ანდრონიკაშვილი, ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ს. საყვარელიძე, ჭითელწყაროს რაიონის სოფელ ჯავიჭარიის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირი პ. ტოკლიკაშვილი, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. გვარამია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ხომიზურაშვილი, კომკავშირის მესტიის რაიკომის მდივანი მ. უშხვანი.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

ინდოეთის დედაქალაქი ეგებება საპატიო საგჭოთა სტუმრებს

დელი, 20 იანვარი. (საქდესი). დღეს ინდოეთის პრეზიდენტ რაჯენდრა პრასადისა და ინდოეთის მთავრობის მოწვევით დელს კეთილი ნების ვიზიტით ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ა. ფურცევა და მათი თანმხლები პირნი.

სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ დელის ცენტრალურ ფეროდრომ პალამზე ამხანაგებს კ. ე. ვოროშილოვს, ფ. რ. კოზლოვს, ე. ა. ფურცევასა და მათ თანმხლებ პირებს შეხვდნენ ინდოეთის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი, პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, ინდოეთის ცენტრალური მთავრობის მინისტრები, ინდოეთის საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელნი, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

გამარჯვებული

შვიდქალა! არა, „შვიდქალა“ მომღერალთა ახალი ანსამბლი როდია.

ლაპარაკია შვიდი ქალიშვილისაგან შემდგარ ფეიქართა ბრიგადაზე, რომლის წევრებს აზრადაც კი არ მოსვლიათ ცხობილი „შვიდქაცას“ მეტოქეობა.

თუმცა მუშაობისაგან თავისუფალ დროს ქალიშვილები მღეროდნენ და ცეკვავენ, თვითმოქმედ კოლექტივებში მონაწილეობენ, მაგრამ სულ სხვაა მათი მთავარი ტრფიალი — პირველობა არავის დაუთმონ შრომაში.

„შვიდქალა“... ასე ეძახიან ხუმრობით რუსიკო სანოძის ბრიგადას წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკაში. ბრიგადირი ძაფის გამკინძველია, ოთხი ქალიშვილი — გუგული ჯანელიძე, თალიკო კუხალაშვილი, ვერა ჭურაშვილი და ნათელა კოპალიანი — ძაფის ამოღებაზე მუშაობს, ხოლო ორი—ნინო პაჭკორია და ლენა ხვინგია — პარკის ხარშვაზე.

„შვიდქალა“ — ძაფსაღები საამქროს პირველი ბრიგადა, მთელს ფაბრიკაში პირველი ჩაება კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელისათვის ბრძოლაში, და პირველობაც მოიპოვა. ამას წინათ რუსიკო სანოძის ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება მიენიჭა.

ყველაფერი ერთი ხელის მოსმით არ მომხდარა. ქალიშვილებმა ბევრი სიძნელე გადალახეს, შვიდწლედის მთელ პირველ წელს მამაცურად იშრომეს იმისათვის, რომ ყველაზე მეტი, ყველაზე მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოეშვათ და ყველაზე მეტი ხელფული დაეზოგათ.

რაც იკისრეს, დათქმულ ვადამდე შეასრულეს. ვალდებულებით ნაკისრი 20 დეკემბრის ნაცვლად წლიური დავალება 15 დეკემბრისათვის 112,3 პროცენტით გაანაღდეს. ბრიგადამ ასობით კილოგრამი ხამი აბრეშუმის ძაფი გამოუშვა შვიდწლედის მეორე წლის ანგარიშში და ნაკისრი 60 კილოგრამის ნაცვლად 65 კილოგრამი ნედლეული დაზოგა.

რუსიკო სანოძის ბრიგადამ პროდუქციის ხარისხის რეკორდი დაამყარა, გეგმით გათვალისწინებული 75 პროცენტის ნაცვლად 91,6 პროცენტი პირველი ხარისხის ძაფი ამოიღო. ასეთი მაჩვენებლისათვის კი ჯერ არც ერთ ბრიგადას არ მიუღწევია ფაბრიკაში.

კარგი მაჩვენებლებია! მაგრამ კომუნისტური შრომის ბრიგადა სრულიადაც არ აპირებს ამ ზღუდეზე შეჩერებას. ახალი წლის პირველი ღღეებიდანვე თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ პარტიის XX ყრილობის გახსნას ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხონ. (საკ. კორ.).

ჩვენი საჩუქრები

მეექვსე თვეა, რაც ვ. გაგანოვას მაგალითით მნგრეველთა მოწინავე ბრიგადიდან ჩამორჩენილ ბრიგადიდან გადავედი. ადვილი როდი იყო ჩამორჩენისათვის თავის დაღწევა. ბრიგადის ყველა წევრთან ერთად დავსახეთ ღონისძიებები, დავიწყეთ ბრძოლა მათი განხორციელებისათვის. საამქროს პირველ რიგში შრომის სწორი ორგანიზაციით დავიწყეთ — აღვაქვეთეთ მოცდენა, მტკიცე კონტროლი დავწესეთ ტექნიკის რაციონალურად გამოყენებაზე.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით დავძლიეთ ჩამორჩენა, გასულ წლის გეგმა 20 ნოემბრისათვის გავანაღდეთ, საშობაოს გეგმის გადამეტებით მივეცით 1.500 ტონა ქვანახშირი.

ჩვენი ბრიგადა ახლა მიმდინარე წლის თებერვლის ანგარიშში მუშაობს. ბრიგადის წევრები პ. ჩოლანი, ი. აბრამაშვილი, თ. თავგორაშვილი, ა. ცურმუტიანი ყოველდღიურად გეგმის ზევით 2-3 ტონა ქვანახშირს ანგრევენ.

ჩვენი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ღირსეული საჩუქარი მივუძღვნათ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას, მიმდინარე წლის 5 თვის გეგმა შევასრულოთ იანვარში, ხოლო წლიური დავალება — 1 ივნისისათვის. ტონა ქვანახშირის თვითღირებულებას შევამცირებთ 7 მანეთით, შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 13 პროცენტით.

ა. მსხვილიძე,
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის მნგრეველთა ბრიგადის ბრიგადირი.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილოგის დელეგატთა საყურადღებოდ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილოგა

გაიხსნება 25 იანვარს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი სბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 1960 წლის 21 იანვრიდან ყოველდღე 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შენობაში (შიო ჩიტაძის ქუჩა № 2).

ტელეფონები: 3-62-20, 3-90-24, 5-02-30, 5-03-90.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი

ლენინის სახე აღგვაფრთოვანებს!

დიდმა ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა კაპიტალის მონოგოსებგან, ექსპლოატაციის მძიმე უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, კაცობრიობის ნათელი მომავლის აშენების საქმეს.

ლენინს ჰქონდა უსაზღვრო რწმენა მასების შემოქმედებითი ძალებისადმი, უსაზღვრო სიყვარული მშრომელი ადამიანებისადმი. და არც ერთ ადამიანს კაცობრიობის ისტორიაში მშრომელთა ისეთი სიყვარული და კატივისცემა არ დაუმსახურებია, როგორც ეს დაიმსახურა ლენინმა. „ჩვენი ილიჩი", „ჩვენი ლენინი", — სიყვარულით წარმოთქვამდა პიტერელი მუშა თუ უუბანელი გლეხი, ჩრდილოეთის მეთევზე თუ ბაქოელი მენავთობე... თავიანთ გულისნადებს სწერდნენ ისინი დიდ ლენინს. ყველა ის, ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონია ბედნიერება ყოფილიყო ლენინთან, სათუთად ინახავდა იმ აუწერელ შთაბეჭდილებას, რაც მასზე მოახდინა გელადამ.

დღეს, როცა ხორცშესხმულია საყვარელი გელადის გენიალური წინასწარმდასახულობანი, შვიდწლედის — კომუნიზმის ამ მშვენიერი დილის მეორე წელს ემთხვევა ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავი. ამ დიდი თარიღისათვის ემზადება ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება.



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი კითხულობს „პრავდას" (1920 წ.)
(საკადესის ფოტოქრონიკა).

იცნობთ თქვენ ამ დოკუმენტებს?

კრება აღნიშნავს სახალხო კომისართა საბჭოსადმი მასების სრული ნდობის ფაქტს და მათს სულ უფრო მეტად გამსჭვალვას ბოლშევიზმის იდეებით. სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლია იმედი იქონიოს, რომ მას სავსებით დაუჭერენ მხარს ჯარისკაცები და მუშები, და ამ მხრივ არავითარი ეჭვი არ უნდა ჰქონდეს.

V არმიის კომუნისტური უჯრედების წარმომადგენელთა წერილიდან. 1917 წლის 8 დეკემბერი.

ჩვენ ვხედავთ, რომ თქვენ ნამდვილად ხართ ღარიბ გლეხთა განთავისუფლების მომხრე. საერთოდ სოციალიზმისთვის მებრძოლი ბოლშევიკების პარტიაა.

წინათ ჩვენ არ ვიცოდით, ვინ არიან ბოლშევიკები. ხოლო როცა შევიტყეთ, ვინ არიან ბოლშევიკები, აღმოჩნდა, რომ ჩვენ გლეხები, ყველანი ბოლშევიკები ვართ.

კურსკის გუბერნიის ობოიანის მაზრის ბოგატინოს თემის სოფელ მელოვოეს გლეხის დ. გრეხოვოდოვის წერილიდან. 1918 წლის 14 აპრილი.

ოქტომბრის რევოლუციის საფუძვლები, რაც დრო გავა, მით უფრო განვითარდება მთელ მსოფლიოში. ვერც თეთრი გვარდია, ვერც ინტერნაციონალური კაპიტალი და ბურჟუაზია ვერ ჩააქრობენ სოციალიზმის წმიდა იდეალს მუშათა კლასის, ყველა ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა გულში.

შორეული აღმოსავლეთის საბჭოების IV ყრილობის წერილიდან. 1918 წლის 15 აპრილი.

ძველი, კაპიტალისტური სამყაროს ნაცვლად მოდის ახალი, კომუნისტური სამყარო, და ამ ახალ სამყაროში ჩვენ, კულტურის მომავალი მატარებელნი, დავიკავებთ ცარიელ ადგილს და მშრომელთა ფართო მასების კეთილდღეობად გავხდით ამ კულტურას.

რიაზანის გუბერნიის სპასკის მაზრის მასწავლებელთა წერილიდან. 1920 წლის 24 იანვარი.

ჩვენ, ქ. ტაშკენტის პროფესიული კავშირების წარმომადგენლებს, შეგნებული გვაქვს შიმშილთან, სიცივესთან, ეპიდემიასთან და სხვა იმ ტვირთთან ბრძოლის გადამწყვეტი აუცილებლობა, რომელიც მემკვიდრეობით დაგვრჩა დამხობილი ბურჟუაზიული წყობილებისაგან, და მტკიცე იმედი გვაქვს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით მუშათა კლასი მიაღწევს იმ იდეალებს, რომლებიც დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ გამოაცხადა.

ქ. ტაშკენტის პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა წერილიდან. 1920 წლის 28 იანვარი.

ჩვენ აქ ზურგში, განვიმტკიცებთ რა საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლებს, მტკიცედ დავდექით საბჭოთა ნიადაგზე, და ყოველივე იმას, რაც აუცილებელია ფრონტისათვის და ცენტრის მუშებისათვის, ჩვენი მოქალაქენი შეგნებულად იძლევიან და თვითონ გაიქვთ ჩასაყრელ პუნქტებში... დიე დაიისომონ თეთრმა ესაულებმა, რომ მათი საქმე საბოლოოდ წაგებულია და ვერავითარი ბურჟუაზიული ზრახვები გადატრიალების შესახებ წარმატებით ვერ დაგვირგვინდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი თავისუფალი რესპუბლიკის ჯარისკაცი შაშხანას საკუთარ მარჯვენა თვალზე უფრო მეტად უფრთხილდება და მუშა გლეხი მტკიცედ დადგა საბჭოთა მიწაზე და ახსოვს მხოლოდ ერთი რამ, რომ ახალ საბჭოთა მშენებლობაში ჭეშმარიტი და წმიდა სამართლიანობაა.

ორიოლის გუბერნიის ლივნის მაზრის მიდვეტენსკის თემის კომუნისტთა წერილიდან. 1920 წლის 15 ივლისი.

ძველ მეპატრონეებს არ მოვუშვებთ თვითონ ვისწავლეთ მუშაობა, ვცხოვრობთ შეხმატკბილებულ ოჯახად. ბურჟუებს კი კეფაში ლურსმანს ჩავაჭედებთ.

მოსკოვის მავთულ-ლურსმნის ქარხნის მუშათა წერილიდან. 1922 წლის 7 ნოემბერი.

ჩვენ ბრძოლაში დავიღუპებით, ხოციალური რევოლუციის მტრებს კი არ დავანებებთ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება თურქესტანსა და მთელ რუსეთში.

თურქესტანის განთავისუფლებულ ხალხთა წერილიდან. 1920 წლის 13 მარტი.

წერილს წერდა ყველა უპარტიო. ყველა მცირემცოდნე, თუ ისე არ არის და წერილი, როგორც საჭიროა, გვაპატიეთ, ჩვენ თუმცა უპარტიოები ვართ, მაგრამ ჩვენი სული და გული კომუნისტურია, ჩვენ შევიგნეთ, რომ ამჟამად მართლაც მშრომელთა ხელისუფლებაა.

ტამბოვის გუბერნიის ლეფოლამსკის თემის გლეხთა წერილიდან. 1920 წლის 20 აპრილი.

პირველი მაისის შაბათობაზე ერთსულოვანი მუშაობით ლუგანსკის ორთქლმავალსამშენებლო ქარხნის მუშებმა მოაწყეს და გახსნეს შენი სახელობის მუშათა კლუბი, რომელიც მუშათა მასებშიკულტურისა და განათლების საწინდარი იქნება.

ლუგანსკის ორთქლმავალსამშენებლო ქარხნის მუშათა წერილიდან. 1920 წლის 22 მაისი.

გორლოვკის მეშახტე ახალგაზრდობა კომკავშირული ორგანიზაციის სამი წლის იუბილეს დღის მხურვალე სალამს გიძღვნის შენ, რაკ ძვირფას ბელადს, და აცხადებს, რომ შენს ლოზუნგებს — ვისწავლოთ და ვისწავლოთ — მეშახტე ახალგაზრდობა შეასრულებს და მტკიცე და ჯანსაღ ცვლას მისცემს ბრძოლაში დაღლილ ამხანაგებს.

ქ. გორლოვკის ახალგაზრდობის წერილიდან. 1923 წლის 25 მარტი.

ჩვენ ვიცით, რომ მარქსისტული აზროვნების კვალიფიციური ხარატის — ილიჩის ხელმძღვანელობით, ხელთ გვაქვს რა კლასობრივი ბრძოლისა და კომუნიზმის ზუსტი ინსტრუმენტები — „კაპიტალი" და „კომუნისტური მანიფესტი", ვიქნებით შენი თანაშემწენი: სოციალისტური საზოგადოების ოსტატები და ქარგლები, შევიმუშავებთ კომუნიზმის განხორციელების თეორიებს.

კიევის არსენალის მუშათა წერილიდან. 1923 წლის 23 აპრილი.

ჩვენ, შორეული ყუბანის კაზაკსკაიის განყოფილების ხუტორ ლოსევის მოქალაქენი, ვგზავნით რა წარმომადგენელს სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კგამოფენაზე, ვიცალებთ მას გადახვეცეს ჩვენს დიდ და ძვირფას ბელადსა და მასწავლებელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს გულწრფელი სარჩევი, ჩვენი შრომით ჩვენს მინდვრებზე მოყვანილი ორი დიდი საზამთრო, რომლებმაც ტაიგილი შეუმსუბუქონ კონტრრევოლუციური ტყვეთ გაბვრეტილ თქვენს ფილტვებს და თავისი წვენით აღადგინონ ჩვენთვის ძვირფასი თქვენი ჯანრთელობა.

ხუტორ ლოსევის გლეხთა წერილიდან. 1923 წლის 15 აგვისტო.

ლენინი პრემლში

ისტორიული ადგილები, ექსპონატები მოგვითხრობენ...

ათას ცხრაას თვრამეტი წლის თერთმეტ მარტს, ნაშუადღევს მოსკოვის კრემლის სამების კარს ავტომანქანა მოადგა, — ასე იწყებს საუბარს ექსკურსიამძღოლი ლენინური ადგილების დათვალიერების დროს.

— ვინ მოდის — იკითხეს გუშაგებმა.

— სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, — უპასუხეს ავტომანქანიდან და საშვი წარუდგინეს. საგუშაგოს უფროსი და წითელარმიელები უხერხულად შეიშმუშნენ, დაიბნენ: როგორ ვერ ვიცანთ ყველა მშრომელისათვის ასე ნაცნობი და საყვარელი სახეო.

— ეი კრემლიც! — ჩუმად ჩაილაპარაკა ლენინმა.

ასე შემოვიდა კრემლში კაცი, რომელმაც თავისი ვენიით მსოფლიო განაცვიფრა. ასე, თითქმის ორასი წლის შემდეგ მოსკოვი კვლავ გასდა რუსეთის დედაქალაქი, აქედან საბჭოთა რუსეთის დედაქალაქი, მრავალეროვანი სახელმწიფოს დედაქალაქი.

კრემლის დათვალიერების შემდეგ ვ. ი. ლენინმა განაცხადა ბანაკი: — დაუყოვნებლივ აღმართეთ კრემლის თავზე წითელი დროშა! — და აღიმართა დროშა, მშვიდობის დროშა!

მას შემდეგ ძირდაუბრალად. ამაყად ფრიალებს კრემლის თავზე ლენინური წითელი დროშა.

მას შემდეგ ლენინი კრემლშია, ხალხთან არის...

* * *

მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში არის ისტორიული რელიკვია, რომელსაც მნახველნი დიდი ინტერესით ათვალიერებენ. აქ თვალსაჩინო ადგილზე, ფანჯარასთან შუშის უუთისტარ ყუთში დგას სახალხო კომისართა საბჭოს პირველი თავმჯდომარის სავარძელი. ვერცხლისფერ პატარა დაფაზე წაწერია: „სავარძელი, რომელზეც იჯდა ვ. ი. ლენინი სახკომსაბჭოსა და პოლიტბიუროს სხდომების დროს 1918 წლიდან 1922 წლის ოქტომბერამდე". სავარძლის ზევით ქედელზე ოვალური ხის ჩარჩოშია ლენინის ფოტოსურათი.

დარბაზის მარცხნივ კარია, რომელიც ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტში გადის.

ეი, ლენინის სამუშაო კაბინეტი. კედლებთან ლენინისეული წიგნების კარადებია, გეოგრაფიული რუკები, სავარძლები, საწერი მაგიდა, კედლის საათი და სხვ. აქ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც 1922 წელს, ვ. ი. ლენინის სიცოცხლეში. აქედან ხელმძღვანელობდა ლენინი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას, აქ იღებდა იგი მუშების, გლეხების დელეგაციებს, საზღვარგარეთელ პოლიტიკურ მოღვაწეებს. აქ ისმენდა იგი თავისი თანამებრძოლების მოხსენებებს და მათთან ერთად წყვეტდა დიდმნიშვნელოვან საკითხებს; აქ წერდა იგი თავის მოხსენებებს პარტიულ ყრილობებსა და კონფერენციებზე გამოსასვლელად.

ლენინის საწერი მაგიდა, ღია ფერის ხისგან არის გაკეთებული, მწვანე ფერის მაუდი აქვს გადაფარებული; მაგიდის მარჯვენა მხარეს სამი ტელეფონია, აქვეა მაგიდის ელექტროლამფა, ცენტრში დგას სამელნე მოწყობილობა, კალმები, რომლებითაც წერდა ლენინი, მაკრატელი, წებო; მაგიდაზეა ბლოკნოტი, კალენდარი კრემლის ხედებით, ალფაბეტი, რომელშიც ლენინის ხელით ჩაწერილია ტელეფონების ნომრები: ი. ბ. სტალინის— 084 (კაბინეტის), 122 (ბინის), ფ. ე. ძერჟინსკის — 007 (კაბინეტის), 032 (ბინის), აგრეთვე — კალინინის, კუიბიშევის, „პრავდის" რედაქციისა და სხვ. საწერი მაგიდის მარცხნივ ხის ყუთში დგას ბალმა, რომელსაც თვითონ ლენინი უვლიდა. კაბინეტში ორი ათასამდე წიგნია; თვითეული წიგნის სატიტულო გვერდზე შტამპია, რომელზეც წერია „ლენინის ბიბლიოთეკა".

კაბინეტის ფანჯრიდან ჩანს მოსკოვის ცა და კრემლის სამების კოშკი. ვინ იცის, ამ ფანჯრიდან რამდენჯერ უცქერია მოსკოვისათვის თავისი გამჭრიახი თვალებით ვ. ი. ლენინს და უფიქრია დედაქალაქის მომავალზე, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობაზე, ამ ფანჯარასთან, ამ კაბინეტში იბადებოდა გენიალური აზრი, რომელიც საბჭოთა ხალხს დღესაც უნათებს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას.

* * *

აქვე, დერეფნის ბოლოს, ვ. ი. ლენინის საცხოვრებელი ბინაა.

ჩვენ მრავალჯერ წაგვიკითხავს გაზეთებსა თუ წიგნებში ლენინის საცხოვრებელი ბინის უბრალოებასა და მოკრძალებულ ტონზე. ყველა აღნიშნავს ამ დიდი ადამიანის საცხოვრებელი ბინის უბრალოებას.

...და ეს ასეა, არაფერი არ არის გადაჭარბებული:

ამ ოთხოთახიან უბრალო ბინაში ცხოვრობდნენ ვ. ი. ლენინი, მისი მეუღლე ნ. კ. კრუპსკაია და ლენინის და მარიამ ილიას ასული. აქ არის მხოლოდ ის, რაც აუცილებელია მუშაობისა და მცირე დასვენებისათვის.

პატარა მისაღებში კედელზე დამაგრებულია ტანსაცმლის საკიდი, რომელზეც ახლა კრუპსკაიას ქოლგა კკიდია. მარცხნივ პატარა მაგიდაა ტელეფონით, კამოდი სარკით, კედელთან სამგზავრო ჩემოდანია. მისაღებიდან ოთხი კარე გადის ბიბლიოთეკაში, საცხოვრებელ ოთახებში, სამზარეულოში. ბიბლიოთეკა ფერფლის მაგვარ ვიწრო ოთახშია, სადაც 20 ათასი წიგნია. ეს ბიბლიოთეკა შექმნა ნადეჟდა კრუპსკაიამ, რომელიც აქ 1939 წლამდე ცხოვრობდა.

ეი ლენინის ოთახიც, რომელიც კრუპსკაიას ოთახის გვერდით არის. შესასვლელიდან მარჯვნივ რკინის მონაკეთებული საწოლი დგას. კედელზეა ვ. ი. ლენინისა და ნ. კ. კრუპსკაიას გადიდებული ფოტოსურათი. მარცხნივ რბილი ტახტია და მრგვალი მაგიდა. მარცხენა კუთხეში წიგნების კარადა და რამდენიმე სკამი. ეს არის ლენინის საწოლი და ამასთან საშინაო სამუშაო ოთახი. მაგიდაზეა სამელნე მოწყობილობა, კალმისტრები, მაკრატელი, წიგნების საჭრელი დანა და წიგნები.

ასევე უბრალოებით გამოირჩევა ლენინის თანამებრძოლისა და მეგობრის ნ. კ. კრუპსკაიას ოთახიც, რომელსაც ერთად-ერთი ფანჯარა აქვს. საწერ მაგიდაზეა ორი ტელეფონი, სამელნე მოწყობილობა, წიგნები, ელექტროლამფა და სხვ. ოთახში მარცხნივ დივანი და წიგნების კარადა დგას, რომელშიც მარქსისა და ლენინის ტომებია, მარჯვნივ კი წითელი ხის კამოდია, რომელზეც ლენინის და კრუპსკაიას ფოტოსურათებია. კედელთან მონაკეთებული საწოლი დგას. პირადი ნივთებიდან შემონახულია ტყავის პორტფელი, სათვალე, პატარა ყუთი ძაფის, ნემსებისა და ღილებისათვის.

ასევე უბრალოდ მოწყობილია ოთახი ვ. ი. ლენინის დის მარიამ ილიას ასულისა, რომელიც იმხანად ჯერ გაზეთ „პრავდის" რედაქციაში, ხოლო შემდეგ საბჭოთა კონტროლის კომისიის საჩივართა ბიუროში მუშაობდა.

1922 წლის დეკემბრის ბოლოს ვ. ი. ლენინმა ავადმყოფობის გამო, ექიმების დაკანონებითი რჩევით, დატოვა კრემლი და გორკაში გადავიდა. შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და 1923 წლის 19 ოქტომბერს მოსკოვშიც კი ჩამოვიდა. იგი „ცენტრალური ქუჩით შემოვიდა მოსკოვში, დაათვალიერა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, შეიარა ბინაში, ნახა სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზი, იყო თავის კაბინეტში... ეს იყო ლენინის უკანასკნელი ყოფნა მოსკოვში, კრემლში.

მოსკოვის რკინიგზის პაველეცის სადგურში დგას ორთქლმავალი, რომელიც წითლად არის შეღებილი. ამ ძვირფასი ისტორიული რელიკვიის ნომერია „უ-127". ორთქლმავალი შუშის სახურავის ქვეშ დგას.

— ამ ორთქლმავლის ისტორია ასეთია, — ამბობს ექსკურსიამძღოლი, — იგი ააგეს საუკეთესო ორთქლმავალმშენებლებმა. რკინიგზელებმა ლენინი სასატიო მემანქანედ აირჩიეს და ეს ორთქლმავალი მას უსახსოვრეს. ლენინის სიცოცხლეში ორთქლმავალს გადაჰყავდა მგზავრები, უმთავრესად კი ეზიდებოდა ქვანახშირს მოსკოვის ქარხნებისათვის.

ათას ცხრაას ოცდათხი წლის ოცდაერთ იანვარს ორთქლმავალმა თავისი უკანასკნელი რეისი გააკეთა. ამ დღეს ორთქლმავლით ბოლოს ეზიდებოდნენ მოსკოვში მისივე სახატო მემანქანის, რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის ცხედარი.

* * *

ამას წინათ მოსკოვის ქუჩებში გამოჩნდა ვ. ი. ლენინის ავტომანქანა. მოსკოველები ჩერდებოდნენ და დიდხანს აკვირდებოდნენ ილიჩის ავტომანქანას.

ავტომანქანა მოსკოვის ლიხაჩოვის ავტოქარხნელებმა დიდი ხალისითა და ენთუზიაზმით შეაკეთეს და დაუბრუნეს ის სახე, რომელიც მას ლენინის სიცოცხლეში ჰქონდა. ავტომანქანა კვლავ გაბატარეს იმ ქუჩებზე, სადაც ვლადიმერ ილიას-ძეს უხდებოდა მიმოსვლა, და როგორც ისტორიული რელიკვია მუზეუმში დააყენეს. ამჟამად ყოველდღე აუარებელი ექსკურსანტი ათვალიერებს ამ ავტომანქანას.

მოსკოვში ბევრი ისტორიული ადგილია, სადაც ვ. ი. ლენინი გამოდიოდა მგზნებარე, შთამაგონებელი სიტყვებით. ახლა იქ მემორიალური დაფებია გაკეთებული.

მოსკოვის საბჭოს შენობაზე გაკეთებულ მემორიალურ დაფასთან, რომელსაც ლენინის ბარელიეფი ამშვენებს, დიდხანს ჩერდებიან მშრომელები, დაწვრილებით კითხულობენ დაფაზე დაწერილ ტექსტს. როგორც ცნობილია, გორკის ქუჩის რეკონსტრუქციამდე ეს შენობა ძალიან იყო წინ გამოწეული. ხაჭირო იყო შენობის აღება, მაგრამ, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მითითებით ინჟინრების დიდი ხნის გამოკვლევის შემდეგ შენობა მთლიანად გადაწეულ იქნა 10 მეტრით უკან. ასე შეუნარჩუნეს უცვლელი სახე ამ ისტორიულ შენობას.

ვ. ი. ლენინი ორჯერ გამოვიდა სიტყვით აგრეთვე მიუსკის მოედანზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმაღლესი პარტიული სკოლის შენობაში. აქაც მემორიალური დაფა და ლენინის ოქროსფერი ბარელიეფია დამაგრებული შესასვლელის მარჯვენა კედელზე.

დღევანდელი ხალხის ახალგაზრდობის მოსკოვის ავტოქარხნის შენობაშიც გამოვიდა ლენინი სიტყვით. ამ ლენინურ ისტორიულ ადგილებს ყოველდღიურად მრავალი მშრომელი ათვალიერებს. ამას წინათ საქართველოდან ჩამოსულებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ლენინური ადგილები.

წითელ მოედანზე კრემლის დიდ კედელთან ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმის ირგვლივ და თვით კრემლის კედელში ლალისფერი ვარსკვლავებით გაჩირაღდნებულ კრემლის კოშკებს შუა მოწყობილია რევოლუციური ნეკროპოლი, რომელსაც მშრომელები დიდი ინტერესით ათვალიერებენ და ღრმა პატივისცემის ნიშნად თავს ხრიან ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის თავდადებულ ადამიანთა საფლავების წინაშე.

ნეკროპოლი ახლა გადათეთრებულია თოვლის ზეწარით, ცივა, მაგრამ მშრომელთა დენა მაინც არ წყდება. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოდიან და მოდიან სხვადასხვა რასის, ეროვნებისა და რწმენის ადამიანები, რომ თავიანთი თვალით იხილონ ადამიანი, რომელმაც თავისი გენიით მსოფლიო განაცვიფრა.

ვ. გოზალიშვილი.
ქ. მოსკოვი.

1960 წლის 22 აპრილს სრულდება 90 წელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღიდან.

ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო გამომცემლობა მასობრივი ტირაჟებით უშვებს პორტრეტებს, პლაკატებს, მხატვრულ ალბომებს, ღია ბარათებსა და ესტამპებს — კედელზე დასაკიდებელ სურათებს.

საწარმოთა საამქროების, კლუბების, წითელი კუთხეების, კოლმეურნეობების, სკოლების, ქალაქის მოედნებისა და შენობების გასაფორმებლად გამოიცემა პორტრეტები და პლაკატები.

დიდ ინტერესს წარმოადგენს ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ალბომები. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელო პარტიული განათლების ქსელის წრეებში და როგორც სამახსოვრო გამოცემები, რომლებიც მაძღვნილია პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადისადმი და რომლებშიც აღბეჭდილია მისი უკვდავი სახე.

ფოტოალბომში — „ვ. ი. ლენინი" ასზე მეტი დოკუმენტური ფოტოსურათია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივიდან. ეს სურათები გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში. ალბომში შეტანილია რევოლუციამდელი პერიოდის ფოტოსურათები, რამდენიმე კინოკადრის რეპროდუქციები და ლენინის სხვა ფოტოსურათები, რომლებიც პირველად ქვეყნდება.

ამ ალბომში მოთავსებული ფოტოსურათები წარმოგვიდგენენ პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადის დაუვიწყარ სახეს, გვიჩვენებენ ლენინის განუყრელ კავშირს ხალხთან. ალბომი დიდ ინტერესს წარმოადგენს მკითხველთა ფართო მასისათვის, აგრეთვე ლენინის სახეზე მომუშავე მხატვრების, მოქანდაკეებისა და მსახიობებისათვის.

გამოიცემა აგრეთვე მხატვრული ალბომი — „ვ. ი. ლენინი მხატვრების მიერ ნატურიდან შესრულებულ ნახატებში", ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში ინახება ნახატები, რომლებიც ფაქიზად გაუკეთებიათ მხატვრებს მ. ანდრეევს, ი. ბოდუსკის, ფ. მალიავინს, ლ. პასტერნაკს, კ. იუონს და სახვითი ხელოვნების სხვა ცნობილ ოსტატებს. ამ ნახატებში სახელდახელო მონახაზებით გადმოცემულია ვლადიმერ ილიას-ძის ცოცხალი დამახასიათებელი ნაკვთები.

ალბომი ნავარაუდევია მასობრივი მკითხველისათვის. ლენინის სახეზე მომუშავე მხატვრები, მოქანდაკეები, მსახიობები, ვრცელ მასალას ჰპოვებენ მასში.

მხატვრულ ალბომში — „ვ. ი. ლენინი. პ. ვასილიევის ნახატები" შესულია რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ პ. ვასილიევის ნახატების 1 ფერადი და 20 ტონური რეპროდუქცია. პ. ვასილიევი დიდხანს მუშაობდა პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადის სახეზე.

ფოტოალბომში — „ვ. ი. ლენინის სახლი-მუზეუმი ულიანოვსკში" ნაჩვენებია ულიანოვსკის ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმის ღირსშესანიშნაობანი, ლენინის, მისი ოჯახის ოთახები, აგრეთვე ვ. ი. ლენინისა და მისი მახლობლების ფოტოსურათები, რომლებიც მისი ცხოვრების ამ პერიოდს განეკუთვნება.

ალბომში ნაჩვენებია აგრეთვე ამ ქალაქის ის ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ლენინის ბავშვობის წლებთან.

დოკუმენტურ ფოტოგრაფიათა ღია ბარათების კომპლექტები, რომლებიც ასახავენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ბავშვობიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, დიდ ღირებულებას წარმოადგენენ სკკპ ისტორიის შემსწავლელთათვის. ღია ბარათების კოლექციონერები დიდ ისტორიულ-შემეცნებითს მასალებს ჰპოვებენ მათში.

ეს გამოცემები უახლოეს ხანში გამოტანილ იქნება გასაყიდად წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებში.

წინასწარ დაკვეთებს იღებენ წიგნის სავაჭრო ორგანიზაციების მაღაზიები. განაცხადები შეიძლება გაიგზავნოს აგრეთვე წიგნის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სავაჭრო ორგანიზაციების განყოფილებებში — „წიგნი ფოსტით".

სიდიადე, უგრალოება

1922 წელს კრემლში მიმიწვიეს ბინაზე ვლადიმერ ილიას-ძესთან.

მე ვფიქრობდი, რომ მდიდრულ ბინაში შემიყვანდნენ, ხოლო მოვხვდი პატარა, უბრალოდ მოწყობილ ოთახში, მაგრამ რა განსაცვიფრებელი წესრიგი, რა სისუფთავე იყო აქ! ყველაფერს ემჩნეოდა დიდი კულტურა.

ვლადიმერ ილიას-ძე ოთახში არ იყო. გასაგები მოელოდნენ ეელოდა მას, ხოლო როცა შემოვიდა, ჩემი მღელვარება დაბნეულობად გადაიქცა.

მაგრამ საკმარისი იყო ვლადიმერ ილიას-ძეს რამდენიმე ფრაზა წარმოეთქვა, და ჩემი გაუბედაობა უკვალოდ გაქრა. გიმძორთა გაცხოველებული, საინტერესო საუბარი. იგი უსანსიშვილი თანამოსაუბრე იყო, გიტაცებდა თავისი ლოგიკის ძალით, მდიდარი ერუდიციით, ცოდნის განსაცვიფრებელი მრავალმხრივობით. არაჩვეულებრივად გიბიდავდა მისი თავაზიანობა, ღრმა ადამიანურობა.

მისი მხედველობის მდგომარეობა რომ შემემოწმებინა, ეკითხე:

— როგორ კითხულობთ?

ვლადიმერ ილიას-ძემ წიგნი აიღო და თვალთან ახლოს მიიტანა.

ჩვეულებრივად ასეთ ასაკში ადამიანები კითხვის დროს თვალთან ახლოს კი არ მიიტანენ ხოლმე, არამედ შორს გასწვენენ წიგნს, გაზეთს თუ ხელნაწერს. მე დავიწყე მიზეზის ძებნა და, ბოლოს, გამოვარკვიე.

ვლადიმერ ილიას-ძესთან პირველმავე საუბარმა დამანახვა, რომ იგი უდიდეს ზრუნვას იჩენდა ამხანაგებისათვის და სრულებით არ ფიქრობდა საკუთარ ჯანმრთელობაზე.

— თქვენ აუცილებლად უნდა დაისვენოთ, — ვუთხარი მე.

— რას დაისვენებ, როცა ამდენი საქმეა? — მიპასუხა ვლადიმერ ილიას-ძემ.

ერთ წამს დაფიქრდა და რამდენადმე უფრო დაბალი ხმით თქვა:

— დიახ, ძალიან ბევრი საქმეა...

— მაშინ მოაწყეთ შინ დასვენება, — ვუთხარი მე.

— ეს როგორ? — გაკვირვებით მკითხა ილიჩმა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკლები იმუშაოთ და უფრო ხშირად დაისვენოთ.

— ჯერჯერობით არაფერი არ გამოვა, მერე კი ვნახოთ...

ავდექი, რომ გამოვთხოვებოდი და კვლავ გამოაცა ვლადიმერ ილიას-ძის უბრალოებამ და თავმდაბლობამ. დერეფანში სულ ცდილობდა პალტოს ჩაცმაში მომხმარებოდა. შემდეგ ჩემს კალოშებს დაუწყო ძებნა. მე ძალიან შემრცხვა და ვთხოვდი არ შეწუხებულიყო, მან კი ემბაკურად მოქუტა თვალი და მეუბნებოდა:

— ასისტენტები ხომ ეხმარებიან პროფესორს!

ღრმად აღელვებული და გულაჩუყებული წამოვედი.

* * *

მეორეჯერ გორკაში მიმიწვიეს. ვლადიმერ ილიას-ძეს მაშინ კუთხის ოთახი ემჭირა ფლიგელში, სადაც ოდესღაც მოსკოვის ყოფილ „გრაფინაჩალნიკის" რეინბოტის მოსამსახურენი ცხოვრობდნენ.

ვლადიმერ ილიას-ძე ძალიან თავაზიანად შემხვდა, მეკითხებოდა მეცნიერთა ცხოვრებაზე, მედიკოსებზე. ჩვენ ვსაუბრობდით, მაგრამ ვლადიმერ ილიას-ძე კარგად ვერ გრძნობდა თავს. რაღაც აზრი აშფოთებდა. შემდეგში გამოირკვა, რომ წუხდა: მაღე შეძლებდა თუ არა მუშაობას?

ეეთხოვები.

— ხომ არაფერი გჭირდებათ, მიხეილ ოსიპის-ძე?—მკითხა ვლადიმერ ილიას-ძემ.

— მე არაფერი არ მჭირდება. საბჭოთა მეცნიერს ყველაფერი აქვს, რაც კი საჭიროა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. ეი უცხოეთის სამედიცინო ლიტერატურა რომ ცოტა მეტი გვქონდეს...

— გექნებათ ლიტერატურა, — დამპირდა ილიჩი.

თავისი დაპირება არ დავიწყებია.

* * *

მეტადრე აღმებეჭდა მეხსიერებაში უკანასკნელი შეხვედრა.

ამ განსაკუთრებით თვამდაბალ, უბრალო და მომხიბლავ ადამიანს არ უყვარდა, როცა მის ლოგინთან პროფესორები, მეცნიერები, ექიმები იკრიბებოდნენ.

— რათ უნდა მოვწყვიტოთ ადამიანები საქმეს? — ამბობდა იგი.

ვლადიმერ ილიას-ძეს „მედიცინის ძმეები" — მედიკოსი სტუდენტები უყვარდნენ. ამავე დროს გორკაში განუწყვეტლივ იყვნენ, მაგრამ „არალეგალურ მდგომარეობაში", გამოჩენილი სპეციალისტები. ისინი ვერ ბედავდნენ დანახვებოდნენ ილიჩს. ამბობენ, რომ ერთხელ ვლადიმერ ილიას-ძემ პარკში შორს თვალი მოკრა ამჟამად განსვენებული პროფესორის ვ. ნ. როზანოვის ფიგურას, ამან მეტად აღელვება ილიჩი.

1924 წლის 20 იანვარს ბინაზე დამირეკა მარიამ ილიას ასულმა. მან მითხოვა სასწრაფოდ ჩავსულიყავი გორკაში.

წავედი გვიან ღამით. ავტომარხილი სწრაფად მიქროდა, მე კი სევდამ შემიპყრო. მაწუხებდა ფიქრი: „ხუთე ცუდად არის?".

მაგრამ ამ ფიქრებს ვიშორებდი... ალა! ლენინმა უნდა იცოცხლოს!

გორკაში დიდ ოთახში დამხვდნენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, მარიამ ილიას ასული, პროფესორები ფერსტერი, ბეტიე, როზანოვი, კრამერი, ოსიპოვი და სხვები.

თურმე ვლადიმერ ილიას-ძეს თითით თვალები უჩვენებია. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს უკითხავს:

— აგერბახი ხომ არ მოვიწვიოთ?

ვლადიმერ ილიას-ძეს დასტურის ნიშნად თავი დაუქნევია.

ისევე თავაზიანად შემხვდა, როგორც წინათ, თუმცა, ეტყობოდა, ძალიან ცუდად იყო. შევამ

სამი დღე იარეთ ჩიჟოთში

უკრაინელი მეგობრის გამოცდილება

არიან ადამიანები, რომელთა სახელს შრომითი გმირობით იცნობს მთელი ქვეყანა და ღირსეულად ეფინება სახალხო დიდების შარავანდედი. ჯერ თითქოს უჩინრად იწყება სახელოვანთა გაკვლევა ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე. ისინი უუტკარივით შრომობენ, გულით, მთელი მონდომებით აკეთებენ კეთილშობილურ საქმეს, ყალლონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის დიად მშენებლობაში.

ასეთ განთქმულ ადამიანთა თანავარსკვლავედში შედის სოციალისტური მეცხოველეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ნოვატორი, უკრაინის სსრ ლვოვის ოლქის ზოლოჩევის რაიონის სოფელ სტრუტენის ტარას შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მეღორე, სოციალისტური შრომის გმირი იაროსლავ ჩიჟი, რომლის სახელი ელვასავით სწრაფად მოედო მთელ საბჭოთა კავშირს. ამ დღეებში ჩიჟს სტუმრად ეწვია ციოთელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის უფროსი მეღორე დავით სეფიაშვილი. ქვემოთ ვბეჭდავთ სეფიაშვილის ნაამბობს ჩიჟთან შეხვედრის, მისი შთაბეჭდილებების შესახებ.

იაროსლავ ჩიჟი და დავით სეფიაშვილი სოციალისტურ შეჯიბრებას აფორმებენ.

* * *

საყოველთაოდ ცნობილი გახდა უკრაინის სს რესპუბლიკის ლვოვის ოლქის სოფელ სტრუტენის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მეღორე იაროსლავ ჩიჟი. მან თავადებული შრომით მოიხვეჭა დიადი სახელი და პატივისცემა. გასულ წელს ჩიჟმა ფერმაში გონივრულად მოაწყო მუშაობა და შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა ღორების წარმოების გადიდებაში. 24 მანეთით შეამცირა ცენტნერი ღორის ხორცის თვითღირებულება. სახელოვანი მეღორის შრომა დიდად დააფასა საბჭოთა მთავრობამ — ჩიჟს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიანიჭა.

ოცნებად გადამექცა ახლოს გავცნობოდი უკრაინელი მეღორის შრომითს საქმიანობას. გადავწყიტე სტუმრად ვწვეოდი, თვითონ მეახა ფერმა, რომელსაც ჩიჟი ხელმძღვანელობს, უშუალოდ გავცნობოდი მისი მუშაობის პირობებს, საკუთარი თვალით მენახა თუ რით აღწევს იგი ამ შესანიშნავ წარმატებებს.

ერთია როცა გაზეთის საშუალებით ეცნობი მოწინავეთა გამოცდილებას, მაგრამ სულ სხვაა საკუთარი თვალით ნახული.

* * *

ზილით, 9 იანვარს იყო. თვითმფრინავმა თბილისიდან უკრაინისკენ აიღო გეზი. ღამის ათ საათზე ქალაქ ლვოვში ვიყავით. მეორე დღეს გავემგზავრეთ ზოლოჩევის რაიონის სოფელ სტრუტენისაკენ, სადაც მუშაობს იაროსლავ ჩიჟი.

ქათქათა თოვლს დაუფარავს მიდამოები. ყინავს, ქარბუქია. ავტომანქანა მაინც სრული სისწრაფით მიჰქროდა ფართო შარაგზაზე. მივუახლოვდით სახელგანთქმული მეღორის მშობლიურ სოფელს. გზის მარცხენა ნაპირზე ამართული ისარი გვაუწყებს:

„შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობა, იაროსლავ ჩიჟის მეღორეობის ფერმა“.

ნაჩვენები გზით შეუხვია მანქანამ. რამდენიმე წუთის შემდეგ კოლმეურნეობაში ვიყავი.

გულთბილად მიმიღეს.

— თქვენ ალბათ მეღორეობის ფერმის სანახავად ჩამოხვედით, — რომელსაც ჩიჟი ხელმძღვანელობს — მითხრა მაღალმა ლამაზმა ახალგაზრდამ, ჩემს პასუხს აღარ დუცადა და იქვე მდგომ კოლმეურნეს უთხრა წავეყვანე იაროსლავ ჩიჟთან. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ახალგაზრდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე პეტრე ბონდარი იყო.

მუდამ მემახსოვრება გულთბილი, მეგობრული შეხვედრა ჩიჟთან. ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და მაგიად გადავეხვიეთ. მე სახსოვრად გადავეცი შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. იგი კმაყოფილი დარჩა საჩუქრით.

იაროსლავ ჩიჟის მუშაობის გასაცნობად ამ დროს ფერმაში იმყოფებოდნენ რუსეთის, საბჭოთა ფედერაციული, მოლდავეთის, ყაზაღეთის რესპუბლიკებიდან ჩამოსული სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციები. როდესაც მათ გაიგეს, საქართველოდან ვიყავი, მეტად დაინტერესდნენ. ზოლოჩევის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკოლა პოსტნიკოვმა კმაყოფილება გამოთქვა ჩემი სტუმრობით და იაროსლავს უთხრა:

— ქართველები სტუმართმოყვარეობითა და პურ-მარილით განთქმული არიან, ჩვენც უნდა ვუჩვენოთ, რომ მათზე არანაკლებ სტუმართმოყვარენი ვართ უკრაინელები.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გაგვამხიარულა.

საქმე პურ-მარილი როდი იყო. მთავარი გულთბილობა და მეგობრობის გრძნობა იყო. ასედაც მოხდა. მე და იაროსლავი მაშინვე დავმეგობრდით. ჩვენ ხომ ორივეს ყველაზე მეტად გვესმოდა ჩვენი შრომითი საქმიანობის არსი.

მცირე შესვენებისა და საუბრის შემდეგ ჩიჟმა მეღორეობის ფერმაში წამიყვანა. იქ შესვლა აკრძალულია. იაროსლავმა დაარღვია ჩვეული სიმკაცრე, გამაცნო თავისი მუშაობის ყოველი დეტალი, ის სიახლენი, რაც გამოცდილმა მეღორემ დანერგა ფერმაში. ამ მხრივ კი მათ ბევრი კარგი რამ გაუკეთებიათ.

* * *

ნოგისმოყვარეობამ დამძლია და ვთხოვე რამდენიმე სიტყვა ეთქვა თავისი წარსულის შესახებ. ჩიჟს დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ აქტიური მონაწილეობა მიეღია გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული შახტების აღდგენაში და იქვე დარჩენილა სამუშაოდ. 1953 წელს, როდესაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება „სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“, სამუშაოდ კოლმეურნეობაში გადმოსულა. აღსანიშნავია ისიც, რომ თავის თანატოლებთან ერთად იგი ყოფილა კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველი ინიციატორი 1948 წელს. იაროსლავის მამას ციმონს 1939 წლამდე მოჯამაგირედ უმუშავნია ერთერთ მსხვილ მემამულესთან, მის უფროს ძმას ვერ გაუძლია ძველი ყაზარმული ცხოვრების მონური წესებისათვის და თვითმკვლელობით დაუსრულებია სიცოცხლე.

**ერთ-ერთი ადამიანი, ვინც ეჭვქვეშ დააყენა ჩემი ნამუშევარი, ეს ბ-ნი ბ. ბ. ბ.

ყველა ხალხს—მშვიდობიანი ცხოვრება!

მთელი მსოფლიო აღტაცებულია საბჭოთა კავშირის ღონისძიებებით მშვიდობის დასაცავად

ბერლინი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები და კულტურული ცხოვრების წარმომადგენლები გამოდიან განცხადებებით, რომლებშიც აღნიშნავენ, თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მთავრობის ახალ ღონისძიებებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველსაყოფად და განსამტკიცებლად. როგორც პროფესორმა კლარა-მარია ფასბინდერმა განაცხადა, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ცალმხრივი შემცირება ქმედითი ნაბიჯია განიარაღებისაკენ. ამით საბჭოთა მთავრობამ კვლავ დაამტკიცა თავისი კეთილი ნება განახორციელოს საყოველთაო და სრული განიარაღება, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე.

ჩვენ მივესალმებით ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. როგორც 1960 წლის კეთილ დასაწყისს, განაცხადა გერმანელთა კავშირის თავმჯდომარემ ვილჰელმ ელფესმა.

მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა, ახორციელებს რა შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებებს, აძლევს დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებს ფრიად სერიოზულად ჩაუფიქრდნენ განიარაღების საკითხებს.

ბუნდესტაგის დეპუტატმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან გერჰარდ კრაისიგმა ცნობას უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ სასიხარულო უწოდა. სასურველი იქნება, განაცხადა მან, რომ ამ საკითხებზე მიღწეულ იქნას საერთაშორისო შეთანხმება.

მე მივესალმები საბჭოთა კავშირის გეგმას შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალები მესამედით, განაცხადა „სამხედრო სამსახურის მოწინააღმდეგეთა ინტერნაციონალის“ დასავლეთ გერმანიის ორგანიზაციის მეორე თავმჯდომარემ ვალტერ ლიდმა. საბჭოთა კავშირის ღონისძიებანი გვიახლოებენ მტკიცე მშვიდობის დამყარებას და ხელს უწყობენ დაძაბულობის შენელებას.

ადენის სააგენტო იუწყება, რომ ნიურნბერგის უმაღლესი ეკონომიური სკოლის პუბლიცისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა ერნსტ მაიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მაგალითს სხვა სახელმწიფოებმაც უნდა მიბაძონ.

კანონი 1,2 მილიონი საბჭოთა ჯარისკაცის დემობილიზაციის შესახებ დამაჯერებლად ადასტურებს იმას, რომ საბჭოთა კავშირის სიტყვა და საქმე ერთია, განაცხადა „ატომური სიკვდილის წინააღმდეგ მეტალურგიული საწარმოებისა და შახტების ახალგაზრდობის ბრძოლის კომიტეტის“ თავმჯდომარემ ვოლფგანგ ციერმა.

ბონი. (საკდესი). გამოვიდა რა დორტმუნდში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის კონფერენციაზე, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ოლენჰაუერმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც პროპაგანდისტული ქმედება. პრესის ცნობებით, ოლენჰაუერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განიარაღება აუცილებლობაა.

გერმანიის საკითხში, განაგრძო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, მთავრობა და ოპოზიცია კვლავ სხვადასხვა აზრისა არიან. ოპოზიციას, განაცხადა მან, ატომური შეიარაღება მიაჩნია ნამდვილ საფრთხედ მშვიდობიანი გაერთიანების საქმისათვის. როგორც შემდეგ აღნიშნა ოლენჰაუერმა, მომავალ თათბირს უმაღლეს დონეზე სასაცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გათიშული გერმანიისათვის. მსოფლიოში დაძაბულობის საყოველთაო შენელება, თქვა მან, ერთადერთი შესაძლო კონსტრუქციული პოლიტიკაა 1960 წელს. მაგრამ ფედერალურ მთავრობას დღემდე არავითარი წვლილი არ შეუტანია ამ საქმეში.

ოლენჰაუერმა დაგმო ფაშისტური და ანტისემიტური გამოხდომები დასავლეთ გერმანიაში და მოითხოვა მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ მომავალში მათი გამეორების შესაძლებლობას.

თეირანი. (საკდესი). „საბჭოთა პარლამენტმა ერთსულოვნად მოიწონა ხრუშჩოვის წინადადება შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ“, — გაზეთი „ქეიჰან ინტერნეიშნლი“ ასეთი სათაურით ბეჭდავს ცნობას იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ“. გაზეთს მოჰყავს ავრეთვე შინაარსი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომართვისა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს პარლამენტებისა და მთავრობებისადმი, რომელშიც მოუწოდებს მათ გამოეხმაურონ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივას და ცალმხრივი წესით განახორციელონ არსებული შეიარაღებული ძალების შემცირება.

გაზეთები „ტეჰ�ირანი“ და „ქეიჰან ინტერნეიშნლი“ აქვეყნებენ ცნობებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის რ. ი. მალინოვსკის გამოსვლის შესახებ. „ქეიჰან ინტერნეიშნლი“ გამოჰყოფს რ. ი. მალინოვსკის სიტყვის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები განკუთვნილია არა თავდასხმისათვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს დაცვისათვის, საბჭოთა კავშირის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისა და საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფისათვის.

ათენი. (საკდესი). საბერძნეთის საზოგადოებრიობა მხარს უჭერს საყოველთაო და სრულ განიარაღებას, რაც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა, რადგან მას სურს მშვიდობა, სურს, რომ „ზარბაზნები ტრაქტორებად გადაკეთდეს“, წერს გაზეთი „ავგი“.

ცივმა ომმა საბერძნეთის ეკონომიკა ჩიხში მოაქცია, აღნიშნავს გაზეთი. საბერძნეთში არსებობს ქრონიკული უმუშევრობა. ეკონომიკა უკიდურესად ნელა ვითარდება. უკანასკნელ ათ წელიწადში საბერძნეთმა სამხედრო მიზნებისათვის დახარჯა 40 მილიარდი დრაჰმა. ამ სახსრებით საბერძნეთს შეეძლო აეშენებინა 25 დიდი სამრეწველო საწარმო, სამუშაო მიეცა სულ ცოტა 100 ათასი მუშისათვის და ამით გადაეღგა ნაბიჯი უმუშევრობის შესამცირებლად.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ დაძაბულობის შენელებისა და ყველა ხალხთან ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა „ხელს შეუწყობდა საბერძნეთის პროგრესს“, „ავგი“ დასასრულ წერს: ეი ამიტომ ბერძენი ხალხი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივას და სურს საყოველთაო მშვიდობის გამტკიცება.

სტამბოლი. (საკდესი). სტამბოლის გაზეთები დღეს ბეჭდავენ ცნობებს იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემდგომი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. გაზეთები „დუნია“, „მილიეთი“ და „ჰავადისი“ ბეჭდავენ ცნობებს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიმართა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებსა და მთავრობებს და მოუწოდა მიბაძონ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ღონისძიებას და შემცირონ თავიანთი შეიარაღებული ძალები.

გუშინ გაკურიანში

გაკურიანი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). 20 იანვარს აქ დაიყო ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრება რბენაში, რომლის მასპინძლობა ეკისრებოდა ზამთრის VIII ოლიმპიურ თამაშებზე წამსვლელთა შერჩევა. 30 კილომეტრზე რბენის ტრასაზე გამოვიდა 35 სპორტსმენი ვაჟი.

დისტანციის მესამედის — 10 კილომეტრის გავლის შემდეგ ყველაზე კარგი დრო ჰქონდა სპორტის ოსტატ ალექსანდრე გუბინს (ცსკმო), რომელიც 18 წამით უგებდა მსოფლიოს 1956 წლის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს დინამოელ პავლე კოლჩინს. 20 კილომეტრის შემდეგ კვლავ წინ იყო ალექსანდრე გუბინი. მაგრამ კოლჩინმა უკანასკნელ კილომეტრებზე გამოავლინა შემონახული ენერგია და ფინიშის ხაზი პირველმა გადაჭრა. მისი დროა 2 : 14.40.

მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი ალექსანდრე გუბინი — 2 : 14.55. მესამეზე კი 1959 წლის მსოფლიო ჩემპიონი სპორტის ოსტატი ანატოლი შელუხინი („ტრუდი“) 2 : 15.15, რომელმაც ამერიკაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა 15 კილომეტრზე რბენაში.

21 იანვარს ბრძოლაში ჩაებმებიან ქალები 10 კილომეტრზე რბენაში.

* * *

სურათზე: 30-კილომეტრიან რბენაში გამარჯვებული, მსოფლიოს 1956 წლის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოსკოველი პავლე კოლჩინი.

ფოტო ი. დვალისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

პოლ რობსონი მოსკოვში

18 იანვარს საღამოს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით ლონდონიდან მოსკოვს ჩამოვიდა მშვიდობისათვის გამორჩენილი მებრძოლი, შესანიშნავი მომღერალი და მსახიობი „ხალხთა შორის მშვიდობის დაცვისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის laureატი პოლ რობსონი მეუღლითურთ.

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის წარმომადგენლები. შემხვედრთა შორის იყვნენ მწერლები ბორის პოლევოი, ვასილ ზახარჩენკო, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი მ. ი. კოტოვი და სხვები.

პოლ რობსონმა აეროდრომზე საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— განუსაზღვრელად ბედნიერი და მოხარული ვარ, რომ ფეხი დავდგი ჩემი მშობლიური მოსკოვის მიწაზე იმ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირმა კვლავ დაანახვა მთელ მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითი. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირება იმის კიდევ ერთი უცილობელი ფაქტია, რომ მძლავრი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მშვიდობისმოყვარულია. საბჭოთა კავშირის ეს აქცია მობრუნების პუნქტი იქნება კაცობრიობის ისტორიაში. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, როგორც მკაფიო პროეკტორმა გაანათა იმ ახალი სამყაროს — უომო სამყაროს გზა, სადაც არ იქნება ხალხთა ტანჯვა. ყველა ადამიანი მისი უსაზღვრო მადლობელია ამის გამო.

დღეს, თქვა შემდეგ პოლ რობსონმა, განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩემთვის კვლავ შევხვდე მოსკოველ მეგობრებს — მშვიდობის დიდ მეგობრებს. მე და ესლანდა რობსონი კვლავ მადლობას ვიხდით მოწვევისათვის, გულთბილი შეხვედრისათვის. (ხაკდესი).

ამერიკა-იაპონიის სამხედრო კავშირი

ვაშინგტონი, 20 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი მ. საგატელიანი იუწყება: თეთრ სახლში გუშინ საღამოს გაიმართა „ურთიერთთანამშრომლობისა და უშიშროების შესახებ“ ამერიკა-იაპონიის ახალი ხელშეკრულების ხელის მოწერის ოფიციალური ცერემონია. იაპონიის მხრივ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ნ. კისმ, ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კ. ჰერტერმა.

განცხადებებში, რომლებიც ორივე მხარის წარმომადგენლებმა გააკეთეს ხელის მოწერის ცერემონიის დროს, ხაზგასმული იყო, რომ ახალი ხელშეკრულება ამერიკა-იაპონიის ანალოგიური სახელწოდების წინანდელი ხელშეკრულებისაგან განსხვავებით თითქოს ახლა იაპონიას „თანასწორუფლებიან“ პარტნიორად ხდიდეს.

მაგრამ ახალი ხელშეკრულების დებულებანი, რომელიც ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მას დამტკიცებენ ორივე ქვეყნის პარლამენტები და მოხდება სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა, არ იძლევიან აბსოლუტურად საფუძველს ასეთი მტკიცებისათვის. როგორც ახალი ხელშეკრულებიდან ჩანს, ამერიკის შეიარაღებული ძალები კვლავ იქნებიან იაპონიის ტერიტორიაზე და მათი იურიდიული სტატუსი იქ ფაქტიურად სულაც არ შეცვლილა.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ ახალი ხელშეკრულება სრული დუმილით უვლის გვერდს იაპონიის კუნძულის ოკინავის შემდგომი ბედის საკითხს, კუნძულსა, რომელიც, როგორც ცნობილია, ამერიკის სამხედრო ბაზად გადაქცეულ და სავსებით ამერიკის შეერთებული შტატების ხელშია.

ახალი ხელშეკრულების პირობების მიხედვით ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება აქვთ, „თუ საჭირო გახდა“, გამოიყენონ იაპონიის ტერიტორიაზე განლაგებული თავიანთი შეიარაღებული ძალები საომარი ოპერაციებისათვის შორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყოველ რაიონში. ხელშეკრულების ეს დებულება ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ აზიაში შეიარაღებული კონფლიქტი რომ წარმოიშვას, რომელიც მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, სურს თუ არა ეს, გარდაუვალად ჩაბმულ იქნება ამ კონფლიქტში.

ახალ ხელშეკრულებაში პირდაპირ არ არის ნათქვამი, აქვთ თუ არა შეერთებულ შტატებს უფლება იაპონიის ტერიტორიაზე განალაგონ თავიანთი ატომური ბაზები, რის წინააღმდეგაც, როგორც ცნობილია, დღემდე გამოდიოდა იაპონიის მთავრობა. მაგრამ აქაურ ჟურნალისტთა წრეებში გადაკვრით ამბობენ, რომ ხელშეკრულების გამოუქვეყნებელ დანართებში არის აღნიშნული, რომ შესაძლოა ამერიკის ატომური იარაღი განალაგონ ამერიკის მთელ რიგ ბაზებში იაპონიაში.

გომგბავენ კუბის კლანტაციებს

ნიუ-იორკი, 20 იანვარი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საააგენტო ჰავანის გაზეთ „რევოლუსიონის“ დამოწმებით იუწყება ფლორიდიდან ჩამოსულმა რამდენიმე თვითმფრინავმა დაბომბა და ცეცხლი წაუკიდა შაქრის ლერწმის ორ პლანტაციას კუბის ცენტრალურ პროვინციაში ლასვილიასში.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ცეცხლდამწენ ბომბებს ჰქონდათ წარწერა: „ბრისტოლ მარინი“. იგივე წარწერა აღმოჩნდა ბომბებზე, რომლებიც ერთი კვირის წინათ ჩაყარეს თვითმფრინავიდან, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა შაქრის ლერწმის პლანტაციებს ჰავანის პროვინციაში.

თვითმფრინავის კატასტროფა

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საააგენტო იუწყება, გუშინ 50 მილზე ნორფოლკის (ვირჯინიის შტატი) ჩრდილოეთით დაიმსხვრა ამერიკის ავიაკომპანიის ტურბოთრახნიანი სამგზავრო თვითმფრინავი „კეპტენ ეირლანისი“. თვითმფრინავში იყო 50 კაცი. ყველა მგზავრი, მათ შორის რამდენიმე ბავშვი, აგრეთვე ეკიპაჟის წევრები დაიწვნენ თვითმფრინავის ნამსხვრევებში.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საააგენტო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ 12 დღეში ეს უკვე მეორე დიდი კატასტროფაა ამერიკის ავიახაზებზე, რომელსაც ბევრი მსხვერპლი მოჰყვა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ კაიროში ოფიციალურად იუწყებიან, რომ სსრ კავშირის მთავრობამ გამოთქვა თანხმობა მონაწილეობა მიიღოს ასუანის მაღალი კაშხალის მეორე რიგის მშენებლობაში.

◆ კაიროში გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება მაროკოს მეფის მოჰამედ V სახელმწიფო ვიზიტის შესახებ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერთან მისი მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკება „ძმობისა და სრული გულწრფელობის სულისკვეთებით“ მიმდინარეობდა. ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მეფე მოჰამედ V და პრეზიდენტმა ნასერმა მიულოცეს ერთმანეთს ასუანის მაღალი კაშხალის საფუძვლის ჩაყრა, რაც „დიად პროექტს—არაბთა ბრძოლის სიმბოლოს“ წარმოადგენს.

◆ როგორც ადგილობრივი გაზეთი იუწყება, 19 იანვრიდან ერაყში ძალაში შევიდა შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა ტექნიკური დახმარება გაუწიოს ერაყის რესპუბლიკას ეროვნული მრეწველობისათვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებელი სასწავლო ცენტრების შექმნაში.

◆ როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, იაპონიის ნაპირებთან ერთი კვირის განმავლობაში ქარ-ბუქი ბობოქრობდა. ქარის ძალა 100 მილს აღწევდა საათში. ქარ-ბუქის შედეგად ჩაძირა ბევრი თევზსაჭერი გემი, დაიღუპა და უკვალოდ დაიკარგა 130 კაცზე მეტი.

◆ ბონში მოლაპარაკება გაიმართა დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრ შტრაუსსა და ჰოლანდიის თავდაცვის მინისტრ ვისერს შორის, რომელიც ვიზიტით ჩავიდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მოლაპარაკების ცენტრში იყო საჰაერო თავდაცვისა და „სტარფაიტერ ფ-104“ ამერიკული რეაქტიული ოვითმფრინავის ერთობლივი წარმოების საკითხები. (საკდესი).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს **პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის** შემდეგ სამტატო თანამდებობათა დასაკავებლად.

1. ახალშობილ ბავშვთა ფიზიოლოგიური და დღეგრძელეულ ბავშვთა განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2.
2. ჩვილი ასაკის ბავშვთა ფიზიოლოგიის, ჰიგიენისა და აღზრდის განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 4.
3. ჩვილი ასაკის ბავშვთა პროფილაქტიკის, პათოლოგიისა და თერაპიის განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1.
4. უფროსი ასაკის ბავშვთა პროფილაქტიკის, პათოლოგიისა და თერაპიის განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2.
5. ბავშვთა ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1.
6. ბავშვთა კვების განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1.
7. სასოლო ჰიგიენის განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1.
8. ბავშვთა ინფექციური განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1.
9. ბავშვთა ნერვული სნეულებების განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1.
10. საორგანიზაციო მეთოდური განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 4.
11. კლინიკურ-დიაგნოზური და მიკრობიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 3.
12. ნორმალური და პათოლოგიური ფიზიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი — 1, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს, ისე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებს და ექიმებს.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე კონკურსისათვის საჭირო სათანადო საბუთების დართვით.

განცხადების შეტანის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის დირექციაში, მელიქიშვილის ქუჩა № 5.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1960 წლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

ა) წარმოებისაგან მოწყვეტით.

1. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია, 2. მებოსტნეობა, 3. მემცენარეობა, 4. ნიადაგმცოდნეობა, 5. მეაბრეშუმეობა, 6. სასოფლო-სამეურნეო მანქანები, 7. მეხილეობა, 8. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგია.

ბ) წარმოებისაგან მოწყვეტლივ

1. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია, 2. მემცენარეობა, 3. მებოსტნეობა, 4. ნიადაგმცოდნეობა, 5. მეტყეკეთობა, 6. სასოფლო-სამეურნეო მანქანათა რემონტი, 7. მეაბრეშუმეობა, 8. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგია, 9. მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაცია, 10. სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგია, 11. მეცხოველეობა.

მსურველებმა განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები ორ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, ავტობიოგრაფია, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, რეცენზირებული სამეცნიერო შრომა ან რეფერატი, ფოტოსურათი 6×9.

განცხადებები მიიღება 15 თებერვლამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 20 თებერვლიდან 30 თებერვლამდე.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ., 33 ტელეფონი 2-33-22, 2-33-15.

21 იანვარი

ფეიერვერკი

19.30 — სკოლების დასახმარებლად — კონონარკვეი „პაერნოსნობა“, 19.50 — კინოჟურნალი, 20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ხელოვნება“ № 1, 20.40 — კინონარკვეი, 21.00 — უკანასკნელი ცნობები, 21.10 — საბჭოთა კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „დიდი მოქალაქე“ (პირველი სერია).

ახალი ამბები, ფაქტები, ვარაუდები

მამაცი ძმები

ცაგერი. (ხაკ. კორ.). ორი მეგობარი — ვ. ირემაძე და ბ. სალინაძე ღვინით შეზარხოშებულნი სოფელ ჩხუტელისაკენ მიდიოდნენ. ლაჯანურჰესის სათავე ნაგებობის წყალგამშვებ არხთან გავლისას ორივე წყლით ავსებულ არხში გადაეარდა. აქაფებულმა ცხენისწყალმა ისინი უდაწნეო გვირაბისაკენ გაიტაცა. არხის პირას ხალხი შეგროვდა, ყველას უნდოდა მათთვის დახმარების აღმოჩენა, მაგრამ სავსე არხში ჩასვლას ვერ ბედავდნენ.

უბედური შემთხვევის ამბავი არხის მახლობლად მცხოვრებმა ძმებმა გიგლა და დავით კვირიკაშვილებმა შეიტყეს. ისინი უმალვე არხთან გაჩნდნენ. ტანგაუხდელნი არხში გადაეშვნენ და ყინულივით ცივ წყალს შეებრძოლნენ. ძმებმა ორივე მოქალაქე ნაპირზე ამოიყვანეს. სამწუხაროდ, ვ. ირემაძე უკვე დამხრჩვალიყო, ბ. სალინაძე კი გრძნობადაკარგული იყო. მას იქვე გაუწიეს სასწრაფო დახმარება, შემდეგ კი საავადმყოფოში მიიყვანეს. ამჟამად ბ. სალინაძე თავს კარგად გრძნობს.

ცეცხლთან გრძოლა

წყალტუბო. (ხაკ. კორ.). შუაღამისას ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა. ბნელ ღამეში ფაბრიკის ტექნოლოგმა ნ. მემანიშვილმა სახლის სახურავზე ცეცხლის ალი შენიშნა. ხანძარი ემუქრებოდა ადამიანებს, შენობებს. მაგრამ ნ. მემანიშვილი არ დაიბნა, დაუყოვნებლივ მოიხმო მოხალისეთა სახანძრო რაზმეულის წევრები და მობინადრენი. სასწრაფოდ მიღებული ზომებით ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა.

ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამბედაობისა და მოსაზრებულობის გამოჩენისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მადლობა და ფულადი ჯილდოები დაიმსახურეს ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგმა ნ. მემანიშვილმა, ამავე ფაბრიკის მოხალისეთა სახანძრო რაზმეულის უფროსმა თ. აბაზაძემ და საცხოვრებელი სახლის კომენდანტმა ი. ქობულაძემ.

კეთილშობილური საქციელი

ქუთაისი. (ხაკ. კორ.). მოქალაქე ზ. ონიანმა ძლივს მიუსწრო თბილისი-ქუთაისის მატარებელს და სიჩქარეში ტაქსში ერთი მომცრო ჩემოდანი დარჩა. მგზავრმა ეს გვიან შენიშნა. ამასთან მან არც მძღოლის ვინაობა იცოდა და არც მანქანის ნომერი.

ქუთაისში დაბრუნებისას ზ. ონიანმა სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორას მიაკითხა. კანტორის მთავარმა დისპეტჩერმა განუცხადა, რომ მისი ჩემოდანი ნაპოვნია. მძღოლმა კ. ჭეიშვილმა სხვადასხვა ძვირფასი ნივთები და ფული, რაც ჩემოდანში ელაგა, უკლებლივ დაუბრუნა პატრონს.

დიასახლისები მოდებს არჩევენ

საქართველოს მოდელების სახლის მოდელიორი-მხატვრები გულმოდგინედ მუშაობენ, რომ ჩვენს სამკერვალო საწარმოებს ჰქონდეთ ლამაზი ფასონის ტანსაცმლის მოდელები.

მხატვარი-მოდელიორები ე. ჯავშვილი, ე. ატაანი, ა. რუხაძე, თ. კალანდაძე, ზ. კარასიოვა, ვ. სუხიტაშვილი, ლ. ბუთრაჩიანი და სხვები კარგახანია 1960 წლის გაზაფხულ-ზაფხულის სეზონის ტანსაცმლის ფასონებზე მუშაობენ. მათ უკვე შექმნეს ქალისა და მამაკაცის ამ სეზონის პალტოების, კოსტიუმების, კაბების, გოგონებისა და ბიჭუნების სხვადასხვა ტანსაცმლის 300 ახალი ფასონი, რომლებიც დამტკიცებულია სამხატვრო საბჭოს მიერ.

მოდელების სახლის სადემონსტრაციო დარბაზში დიასახლისებს კვირაში ორჯერ აჩვენებენ ტანსაცმლის ახალ მოდელებს ცოცხალ მანეკენებზე. წელს მოდების ჩვენება-გამოფენა მოეწყო თბილისის მასწავლებლის სახლში, რომელჯერმე ოფიციერთა საოლქო სახლსა და ამ სახლის საზაფხულო პარკში, ხელოვნების მუშაკთა სახლში, რუსთაველი — მეტალურგთა სასახლეში, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლეში და ა. შ.

ახალი სახალხო თეატრი

ხელო. (საკ. კორ.). აქ კულტურის სახლთან შეიქმნა ახალხო თეატრი, რომელშიც გაერთიანებული არიან რაიონის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, მასწავლებლები, კოლმეურნეები.

სახალხო თეატრმა პირველ დადგმად მაყურებელს უჩვენა ს. შანშიაშვილის პიესა „ანზორი“,

თბილისის პირველობა ჰადრაკში

თბილისის საჭადრაკო პირველობა დამთავრებამდე სამი ტური დარჩა. 20 იანვრამდე გათამაშდა 14 ტური. ლიდერთა ჯგუფის შემადგენლობა კვლავ უცვლელი რჩება.

ჩემპიონობის მთავარმა პრეტენდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა კიკინაძემ თოთხმეტე ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მან დამარცხა ჩირგაძე. ელიზბარიძემ მოუგო ჯინჯიხაშვილს, ალხანოვმა — არნაუტოვს, ბლაგიძემ — ალატიშვილს. თხელიძე-გურსანიას პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

14 ტურის შემდეგ კვლავ წინ ოსტატობის კანდიდატი თ. კიკინაძე, რომელსაც 13 შესაძლებლიდან 11 ქულა აქვს.

მოსკოვის კლუბების ნაკრები კანადაში

ოტავა, 18 იანვარი. (საკდესი). შაბიან ჰოკეიში მოსკოვის კლუბების ნაკრებმა გუნდმა გუშინ გამართა პირველი მატჩი კანადაში.

საბჭოთა ჰოკეისტთა მოწინააღმდეგეები იყო კლუბი „ქიტჩენერ-ვატერლოო დეტჩმენი“, რომელიც კანადის წარმომადგენელი იქნება ოლიმპიურ ასპარეზობებზე სკვო ველში. გუნდი გაძლიერებული იყო „უიტბი დანლოპსის“ — მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონის სამი თავდამსხმელით და კლუბ „ჩიტხემის“ ორი დამცველით. სანტერესო და დაძაბული შეხვედრა დამთავრდა კანადელ ჰოკე